საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 მან.

ყოველდღიური პირველი

მთავრობის მოამგე

ქართველდღიური გაზეთი

№ 68 ბარასკევი, 18 ოქტომბერი, 1918 წ. № 68

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ნომერში ექვსი გვერდია

მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით **10** მ., ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ.
სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.
გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე.
(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

მე II-ე წელ. **ვაჟთა და ქალთა გიმნაზია** მე II-ე წელ.

ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი გაიხსნება 4 წელიწადში.

ეხლანდელ ძ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან განურჩევლად ეროვნებისა და ხნისა მოწმობებით შესაფერ კლასებში, თანაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გაზაფხულიდან მიიღებიან ის პირნი, რომელთაც კთავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია ღიაა ყოველ დღე 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს უფასო სახელმძღვანელებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო **2** ნოემბერიდან.

1917/18 წელს გიმნაზიამ მოწაფეებს გაუთავებია პირველად.

50—42 გიმნაზიის გამგე ს. ნ. ფულგინი.

ქალთა რვა კლასიანი გიმნაზია

ნ. გ. თევზაძისა

მთავრობის გიმნაზიის სრულ-უფლებით მოსწავლეთათვის.

ყოველ კლასში შესვლის მსურველთა თხოვნები მიიღება ყოველ დღე, 9—2 საათამდე, ანბანის, უმცროს და უფროს განყოფილებაში და პირველ და მეორე კლასში ეგზამენი მიიღებიან. მეცადინეობა—დილაობით იქნება, სწავლების ენა—რუსული. ქართველ და სომეხ მოსწავლეთათვის საშობლო ენა სავალდებულოა. გიმნაზია უზრუნველ-ყოფილია სახელმძღვანელოებით. თხოვნების შეტანა და საჭირო ცნობების შეტყობა შეიძლება გიმნაზიის კანცელარიაში: ქსენიას ქუჩაზედ, სახ. № 11. ტელ. № 10—09.

626 5—5 პედაგოგიურ საბჭოს თავმჯდომარე ლ. ხ. წურინოვა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრთან არსებული ქართ. დრამატიული ხელოვნების სტუდია.

სტუდიაში ისწავლიან ყველა საგნებს დრამ. ხელოვნებასთან დაკავშირებულს და ავრეთვე რითმულ გიმნასტიკას (ეკ. დალკროზის სისტემით, მატნერის ზალკანის ხელმძღვანელობით). მიიღებიან ქალ-ვაჟნი 15 წლიდან 30 წლამდე. მსურველთა განცხადება უნდა შემოიტანონ სახელმწიფო თეატრში ყოველ დღე 11 საათ. 2 საათ. მომდინარე თვის 25 რიცხვამდე.

4—718—3 სახელმწიფო თეატრის კომისარი ალ. წუწუნავა

ტექნიკური კანტორა

ინჟენერ **ვ. კანდელაკისა**

იღებს საწერ მანქანებს ქართულად გადასაკეთებლად.

ასოები ფოლადისა, გარანტია ერთი წლის.

ერევნის მოედანი, პუშკინის ქუჩა, № 1.

880 1—1

საქარხნო საწყობი **ნ. ი. ბოზარჯიანცის** საბაჭრო სახლისა

ს. ო. ისაიანცის

ვაჭრობა

სახალხოს ქუჩა, № 1.

ამით აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმოების გაყიდვა შეუძლიან ყველას თავისუფლად საქარხნო ფასებში. 895 2—1

ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია

ამით აცხადებს, რომ 3 წლის 19 ოქტომბერს, დღის 12 საათზედ, ტფილისის მაზრის კომისარიატში (მიხეილის ქუჩა, № 111) დანიშნულია იჯარით გაცემა თევზის დასაჭერი ალაგებისა ყარაიაზის სახაზინო ტბაში, ვიდან 20 ოქტომბრიდან 1918 წ. 14 ივლისამდე 1919 წ. მსურველთა შეუძლიანთ წარმოადგინონ დაბეჭდილ კონვერტები თავიანთი პირობებით. იჯარით გაცემა დაიწყება 5.300 მანეთიდან. დაწერილებითი პირობების გაგება შეიძლება ყოველ დღე დღის 9—3 საათამდე ცენტრალურ საადგილ-მამულო გამგეობის კანცელარიაში, ან ტფილისის მაზრის კომისარიატში (მიხეილის ქუჩა, № 111). ვისაც მსურს მონაწილეობის მიღება საჯარო ვაჭრობაში, უნდა შემოიტანოს წერილობითი განცხადება მანეთიანი მარკით. 735 1-1

კაფე „ერთობა“

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯანსაღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა შგონია.

ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში“ შვიდ მანეთს მისცემთ.
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პატივს სცემთ.

ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებთ?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიასწრებთ. 25—2 680.

სახელმწიფო თეატრი.

ოპერის სეზონი 1918—19 წ. ნ. ლ. ლეონიძის დირექცია.

პარასკევს 18 ოქტომბერს 1918 წ.

ოპერა 3 მოქმ. **„ბორის გოდუნოვი“** მუსიკა მუსსორგსკისა.

მოქმედნი პირნი: სპიტკო, ანსა, მიროზოვისა, ვიშემირსკისა, ოესიანიკოვისა, ბერეზინი, ორდა, მოლანოვი, ეზოვი, კურბატოვი. დირიჟორი სამოსუდი. 19-ში—„ლოდოეკა“, 20-ში, დილით „ფაუსტი“, საღამოთი „რიგოლეტო“. 733 1—1

ქარაფშელაძე

5 000 000 მ.ნ.

ქართულ უნივერსიტეტის
და
თეატრის სასარგებლოთ.

პირველი ბოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

ზემოთხევით

იყიდება სახლი იყიდება

თუმანოვის ქ., რეკვაზოვის შესახ. (კუთხეში), № 7. სახლი შეიცავს 6 დიდ ოთახს და 4 პატარას.

ეძიმი ი. კ. აგაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯერკელებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ქლექისა, სასხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

ეძიმი

ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი ინსულებს ვენერიულ, კანთა, სიფილისით (ათაშანგი) და სქესობრივ უძლურებით ავადმყოფებს დილის 8—11 და საღამოს 4—7 საათამდე.
მისამართი: ვარანცოვის ძეგლთან, რაზიეზდის ქუჩა, სახლი № 19.

ოფიციალური განყოფილება

გრძანება

საქართველოს რესპუბლიკის გზათა მინისტრისა.

9 სექტემბერს, 1918 წ.

№ 31.

ამა წლის ოქტომბრის 10-ს საჯარო ვაჭრობის მოსაწყობად, თანახმად გზათა სამინისტროს საავტომობილო განყოფილების მიერ შემუშავებულ პირობებისა, დაარსდეს საავტომობილო განყოფილების უფროსის ბ. ლ. გოგეშვილის თავმჯდომარეობით საჯარო საკრებულო, რომელშიაც წევრებად შევლენ: მასალის ნაწილის გამგე ი. ს. წიფწიკაძე, ბუღალტრის მოვალეობის აღმასრულებელი ა. ე. ნარიოშვილი და წარმომადგენელი სახელმწიფო კონტროლისა, ხოლო მდივნად საკრებულოსი საავტომობილო განყოფილების კანცელარიის მმართველი ა. ი. ნანობაშვილი.

გზათა მინისტრი ლ. ო. ქ. ფანიძე.

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

1 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 129.

თანამდებობიდან გადაყენებულია: მომრიგებელ-მოსამართლის თანაშეწყლი, გგრის საგამომძიებლო-სამომრიგებლო უბნის გამგე ვლადიმერ ემელიანოვი.

9 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 30.

განთავისუფლებულია სამსახურიდან: თავისის თხოვნით, იუსტიციის სამინისტროს კანცელარიაში საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად დანიშნული შალვა გრიგოლის ძე ტატიშვილი.

9 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 31.

ინიშნებიან: ილია მირიანის ძე ჯაფარიანა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლად, ეფემია ლეონიდეს ასული ყარანგოზიშვილისა და ლეონიდ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილი საქმის მწარმოებლის თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებლად.

16 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 32.

განთავისუფლებულია: იუსტიციის სამინისტროში ჩარიცხული და დუშეთის უბნის სასამართლო გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად გაგზავნილი დიმიტრი ილიას ძე დიდებულიძე ხსენებულ თანამდებობის აღსრულებიდან.

16 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 33.

ჩაირიცხა იუსტიციის სამინისტროს უწყებაში და განაგზავნება: დეშუთის უბნის სასამართლო გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად კიევის უნივერსიტეტში კურს დამთავრებული მიხეილ ვლადიმირის ძე ჯავახიშვილი.

16 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 34.

განთავისუფლებულია: იუსტიციის სამინისტროში ჩარიცხული და ლორის უბნის სასამართლო გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად გაგზავნილი ბოგდან გამაზოვი ხსენებულ თანამდებობის აღსასრულებისაგან.

ჩარიცხულია: იუსტიციის სამინისტროში: ბაქოს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე ქალაქის მეოთხე საგამომძიებლო უბნის გამგის თანამდებობის აღსასრულებლად ანარ მათეს ძე თაათოსოვი და იგზავნება ლორის უბნის სასამართლო გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებლად.

იუსტიციის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი.

ბრძანება

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

3 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 51.

განთავისუფლებულ იქმნა თანამდებობიდან: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე, იუსტიციის სამინისტროში ჩარიცხვის გამო 26 ენკენისთვე 1918 წ. № 28 შალვა სოლომონის ძე კურცხალია 26 ენკენისთვიდან.

3 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 52.

დანიშნულ იქმნა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე ალექსანდრე გიორგის ძე ლეონიძე ამავე სამინისტროს კანცელარიის საკრედიტო განყოფილების საქმის მწარმოებლად ამა წლის 20 მარიამობისთვიდან.

3 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 53.

შტატს გარეშე დატოვებული არის: ბორჩალოს მაზრის გადასახადების ინსპექტორი მიხეილ ნიკოლოზის ძე ობამელიკი.

3 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 54.

განთავისუფლებულ იქმნა: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საერთო განყოფილების უფროსი ზურაბ ანდრეოლოტის ძე მაჩაბელი, მისის გარეშე საქმეთა სამინისტროს კანცელარიის ვიცე-დირექტორად დანიშვნისა გამო, 28 ენკენისთვიდან.

№ 55.

დანიშნულ იქმნენ: ტფილისის საქალაქო სამართველოს უფროსის თანაშემწეებად: სოლხანიშვილი მარკოზ მაქსიმეს ძე, ბაქრაძე სპირიდონ იოსების ძე; ორივე 1 მარიამობისთვიდან.

საქალაქო სამართველოს ინსპექტორებად: ჩხატარაშვილი მიხეილ როსტომის ძე, სიდამონ-ერისთავი დავით ვასილის ძე, შამირანაშვილი დავით იოსების ძე—სამივე ქ. ტფილისში 1 მარიამობისთვიდან;—ბოქვილი სტეფანე იაკობის ძე—ტფილისის მაზრაში 27 მარიამობისთვიდან;—ვაჩიშვილი ნესტორ ისიდორის ძე—თელავის მაზრაში 16 მარიამობისთვიდან;—ინაშვილი-ბელსკი ვიატორ პავლეს ძე,—სიღნაღის მაზრაში 27 მარიამობისთვიდან; ავალიანი ბორის მიხეილის ძე,—ბორჩალოს მაზრაში 16 მარიამობისთვიდან;—თაყაიშვილი სიმონ გიორგის ძე,—ქ. სოხუმში,—პეტრიაშვილი ნესტორ ივანეს ძე,—ქ. ზესტაფონში,—ჯორნიკი ალექსანდრე ანტონის ძე,—სენაკის მაზრაში,—კიკიანი დავით ტარიელის ძე,—ქ. ფოთში,—ციჩანა ფანანაზ ნიკოლოზის ძე, —ზუგდიდის მაზრაში,—შევარდნაძე ირაკლი დიმიტრის ძე,—ოზურგეთის მაზრაში,—კანდელაკი ეპიფანე ანტონის ძე—რაჭის მაზრაში, —თოლორია ანდრია ეგნატეს ძე,—ლეჩხუმის მაზრაში;—ყველანი 1 მარიამობისთვიდან;—ინსპექტორის უფროს თანაშემწეებად: გარსიშვილი იპოლიტე იაკობის ძე, არდაშვილი აარონ ნიკოლოზის ძე—ბაქრაძე გიორგი სპირიდონის ძე,—სიდამონ ერისთავი ვასილი დავითის ძე; ოთხივე 1 მარიამობისთვიდან;—მაჭუტაძე დიმიტრი დიმიტრის ძე,—26 ენკენისთვიდან, ბარისაშვილი მიხეილ გიორგის ძე,—16 მარიამობისთვიდან,—ოდიშარია კონსტანტინე ნიკოლოზის ძე,—1 მარიამობისთვიდან,—ბაქრაძე გიორგი ილარიონის ძე,—27 მარიამობისთვიდან;—მაყაშვილი ლუარსაბ გიორგის ძე, ჯაფარიძე სერგო ქაიხოსროს ძე;—ორივენი 20 ენკენისთვიდან;—ყველანი ქ. ტფილისში;—ჩიკოიძე იოსებ ქაიხოსროს ძე,—ტატიშვილი გიორგი ბეჟანის ძე,—ქებაძე ალექსანდრე დიმიტრის ძე,—სამეგანი მარა მაზრაში 1 მარიამობისთვიდან;—სიდამონ-ერისთავი ვლადიმერ ვასილის ძე, ჯანდიერი ნიკოლოზ დავითის ძე, ფონ-შადე ბეგლარ ივანეს ძე, მამულაშვილი ანტონ მიხეილის ძე,—ოთხივენი თელავის მაზრაში; პირველი სამი —1 მარიამობისთვიდან, უკანასკნელი კი 27 მარიამობისთვიდან;—ინასარიძე გიორგი პორფირეს ძე, აროკეენინძე ივანე ბეჟანის ძე, ორივენი 1 მარიამობისთვიდან;—ფონ-შადე მიხეილ ივანეს ძე, კოლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის პასუხისა და აცხადებს, რომ ელზას-ლორენის ინტერნაციონალიზაცია და პოლონეთის საკითხი განხილულ უნდა იქნეს, როგორც ერთეულის და ყველა 23 მოთხოვნა პროგრამის, რომელსაც გერმანია შეეურთება, შესრულებულ უნდა იქნეს. ელზას-ლორენის და პოლონეთის საკითხი უნდა გადაწყვეტილ იქნეს ამ პრინციპების მიხედვით, რომლებიც ვილსონმა წარმოადგინა თავის სიტყვაში თებერვლის 12-ს. მეორე პრინციპი ამბობს: პროვინციები და ერები არ უნდა გადადიოდეს ერთ პოლიტიკურ წრიდან მეორეში. მესამე პრინციპი ამბობს: „ტერიტორიის საკითხი, რომელიც აღიძრება ამ ომის შემდეგ, უნდა გაირჩეს იმ ხალხის სასარგებლოდ, რომელსაც ეხება.

კოპენჰაგენის „ეკსტაბლადიტი“ აღფოროვანებული მიესალმება გერმანის პასუხს ვილსონის ნოტაზე და ამბობს: თუ გერმანიის მტრები მოითხოვენ ზარალის აღდგენას, მის დამციერებას, ხომ შესაძლებელია, რომ მდგომარეობა შეიცვალოს ე. ი. ზავის მაგვრად შეიქმნეს ომი ორჯერ უფრო მკაცრი, ვიდრე იყო. თუ ზავი არ მოხდა, ომი უფრო მკაცრი გახდება, მაშინ გერმანიის სახელმწიფოები, როგორც ერთი კაცი, დადგებიან ფეხზე, რომ თავისი სამშობლო დიიცვან. ვილსონმა უნდა იქონიოს გაკვლენა იმ მოთხოვნებზე, რომელიც ისმის ლონდონიდან და პარიზიდან, რომელთა მიზანია არა ზავი და სამართლიანობა, არამედ ომი და გახადგურება.

დანიის პრესა ოპტიმისტური თვალსაზრისით უყურებს გერმანიის პასუხს. მისი აზრით გერმანიის პასუხი უნდა ნაშრავდეს საყოველთაო ზავს.

ტანსნოკენენის პრესს-ბიურო ასე ახასიათებს მდგომარეობას: ინგლისის და ჩსაფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწენი, როგორც სჩანს, აზიფერნი არ უჭერენ მხარს ვილსონის მიზანს. არც ბალფურს, არც კლემანსოს „ჯერ თავისი აზრი არ გამოუთქვამთ. გრეი ამაში ხედავს ინგლისისთვის მოსალოდნელ საფრთხეს. მისი აზრით მოკავშირეები ამ შემთხვევაში სულ სხვა აზრისა არიან ვიდრე ამერიკა. ოკეანეს გიღმა და გამოდმა მყოფ პოლიტიკურ მოღვაწეთა შუა არსებობს ოპოზიცია, რომლის დაფარვაც სიტყვებით სურთ. გრეის სურვილია, რომ მოკავშირეთა მისწრაფება საერთო იყოს. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ ვილსონის პროგრამის შესრულებით შეიძლება. უმთავრესი გრეის სიტყვაში ის არის, რომ ის აუცილებლად სთვლის ინგლისისათვის ძველი მეთოდების დათმობას და ვილსონის ძირითად პრინციპებთან შეერთებას. ასეთ მომენტში, რომელსაც ჩვენ ეხლა განვიცდით, გრეის ასეთ სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც თუ ლოიდ ჯორჯის მთავრობა იმ გზით წავა, რომლითაც ვილსონი მიდის, ზავის იმედები უნაყოფო არ იქნება. ინგლისის მთავრობას მთელი მსოფლიო მადლობას ეტყოდა, რომ ის საშუალებას მოვეკვეთდეს ახალი წყს-წყობილების შემოღებისას. გერმანიის მთავრობამ კი თავის მხრივ უნდა „გასაბრაკიელოს შინაგანი რეფორმება, რომ მთელი ქვეყნის უნდობლობა არ გამართულდეს. პრინცი მაქსი და მისი მთავრობა სწორედ ამ დროის შესაფერისნი არიან.

გერმანიის პასუხს ვილსონის ნოტაზე მთელი პრესა ისე უყურებს, როგორც გადამწყვეტს, ასე რომ დროებითი ზავის შეკვრა და საზავო მოლაპარაკების დაწყება მხოლოდ დროის საკითხია.

სომხური პრესა

სომხური გაზეთი „ჯოლოფოდ ძიან“ ეხება ამიერ-კავკასიის პატარა რესპუბლიკებისთვის რეგულიარული ჯარების შექმნის საჭიროებას და, სხვათა შორის, ამბობს:

„რუსეთის ახლათ შექნილი სახელმწიფოები უნდა ჩაითვალოს, როგორც საშუალებანი, ანარქიიდან ესე იგი ბალშევიზმისა და გარეშე მტრის ბიფათისაგან თავდასაფარავი. ამ ახალმა სახელმწიფოებმა, როგორ დარწმუნდენ რუსეთის სისუსტეში, მოლაპარაკება დაიწყეს ავსტრო-გერმანულ კოალიციასთან და განსაკუთრებულ ხელშეკრულობით ჩამოადგეს კიდეც ზავი.

მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ამით მოშორდა იმათ საბოლოოთ ანარქია.

ბოლშევიზმი არა თუ მარტო პოლიტიკური მიმდინარეობაა, არამედ ხალხის მასსიური მოძრაობაა, ან ვთქვათ სწორეთ, მასსიური ავთვმყოფობაა, რომელსაც აქვს თავისი ღრმა მიზეზები, წინანდელ რუსეთის შინაგან ცხოვრებაში დამარხული და ამ სენით ავთვმყოფია არა თუ მარტო ველიკოროსის ტომი, არამედ ყველა ახალი სახელმწიფოების ხალხი. და თუ ამ ეკმათ ამ ნორჩ პატარა სახელმწიფოებში უფრო მეტი წესრიგი სუფევს, ვიდრე სოვდეპიაში, ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ პატარა ერები შიგნიდან სავსებით განიკურნენ ბალშევიზმისგან, არამედ უმთავრესათ ის, რომ ითვეფ ამ საქმეში დასაყრდნობი ცენტრალურ სახელმწიფოების ჯარებში, რომლებიც შეეიდნენ ამ ნორჩ სახელმწიფოების საზღვრებში. განსაკუთრებით საქართველოს მთავრობა სარგებლობს გურმანიის ჯარებით და ადერბეიჯანი კი ოსმალეთის ჯარებით. აი ეს არის მიზეზი, რომ ამ მთავრობებს უფრო ძლიერათ მიჰყავთ თავიანთი სახელმწიფოებრივობის საქმეები, ვიდრე ჩვენს სომხურ მთავრობას.

მაგრამ ჩვენი სამი სახელმწიფოებების ტკბილი ერთობა, ეს არის რეგულიარული ჯარის უქონლობა და თუ ერთ დღეს გერმანელები და ოსმალები დასტოვებენ საქართველოს და ადერბეიჯანს, ამიერ-კავკასიის მდგომარეობა უფრო გაფუჭდება.

ამ სამ სახელმწიფოსთვის ყველაზე უფრო საეჭრო და გადაუდებელ საქმეთ უნდა ჩაითვალოს რეგულიარული ჯარის შექმნა, რომლის უქონლობით დაზიანდება ყველა სახელმწიფოში არა თუ ამ სახელმწიფოს მთავარი ერი, არამედ მისი ეროვნული უმცირესობანიც, იმიტომ რომ ყველგან ანარქიიდან ზიანდება მთელი ხალხი და შეიძლება უმცირესობა უფრო მეტათ, ვიდრე ეროვნული უმრავლესობა.

აქამდის ჩვენი მთავრობა ეყრდნობოდა, თუ მხედველობაში აციღებთ შინაგან ძალებს, სომეთში ბაშაკი. ხუმპეზზე,(რაზმებზე) საქართველოში სოციალ-დემოკრატიულ წითელ გვარდიაზე; რაც შეეხება დაშნაკცების ჯარებს, უნდა ითქვას, მათ ისე გასტეხეს ჯარის სახელი ხალხის თვალში, რომ ძნელათ თუ თითონ დაშნაკცელების მთავრობა მოინდომებს მომავალშიაც დაყრდნობა ამისთანა ძალებზე. ქართველთა სოციალ-დემოკრატიულ წითელ გვარდიელებს ჯერ მაღლათ უქიროვთ თავიანთი ზნეობრივი მდგომარეობა, მაგრამ ისინეც ვერ ჩითვლებიან მთავრობის დასაყრდნობ ძალად, როგორც პარტიული ჯგუფი, რადგან იგი ნაკლულია სახელმწიფოებრივი რეგულიარობისაგან და დისციპლინისაგან.

თუ რას აკეთებენ ადერბეიჯანში ამ მხრივ, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ის გარეშეთა, რომ ოსმალეთის საბჭოდრო მთავრობა იძულებული ყოფილა დაეთხოვა ადერბეიჯანის ერთათვი ერი რეგულიარული ჯარი, ეელური დივიზია, ამტკიცებს, რომ იქ მდგომარეობა უფრო ცუდია, ვიდრე სომეთში და საქართველოში.

ჩვენთვის ცხადია, რომ თუ ცოტათი ფესწყობილება არსებობს ჩვენს ქვეყანაში, უნდა ითქვას, ეგ არის მხოლოდ გერმანიის და ოსმალების ჯარების ხიშტების შეიწყობით და მანამ ჩვენ არ შეგქმნით რეგულიარულ სამხედრო ძალას, ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი სახელმწიფოები უნდა ჩაითვალოს საეჭვო საქმეთ.

როგორაც უნდა გათავდეს მსოფლიო ომი, ჩვენ უნდა მზათ ვიყოთ, რომ მთელი ქვეყნის წინ გამოვიდეთ, როგორც ძლიერნი ზნეობრივათ და ფიზიკურათ, რომლებსაც შეუთვისებიათ სახელმწიფოებრივობის პრინციპები.

და ამისთვის უმთავრესად საჭიროა რეგულიარული და დისციპლინური სამხედრო ძალა.

დღეკანდელ განსაკუთრებულ პირობებში რეგულიარული ჯარის შექმნას და ორგანიზაციას არავინ უარყოფს. ამ მხრივ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა შესაძლებლობის ფარგლებში სათანადო მუშაობასაც ეწევა. მაგრამ ერთი უნდა შეგნიშნოთ გაზეთს, რომელიც ამბობს, თითქოს გერმანიის ჯარები საქართველოს ანარქიასთან სპარძოლველათ გამოუყენებიოს და მათი შემწეობით წესრიგი დაემყარებიოს. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ვინ არ იცის, რომ ანარქიის წინააღმდეგ მებრძოლი იყო ფითელი გვარდია და მისი ვაქკაცური მოღვაწეობით შესაძლო შეიქნა შეიარაღებული ანარქიის აღმოფხვრა. ეს უნდა იცოდეს გაზეთმა და თუ იცის, არ შეჭფერის, როდესაც ფაქტებს ამაბნიჯებს.

თურქული პრესა

თურქულ გაზეთ „ვაკეთ“-ში რომელიც, სტამბულში გამოდის, დაბეჭდილია „გერმანელების პოლიტიკა კავკასიაში“, ავტორი, სხვათა შორის, სწერს გერმანელების შესახებ:

„ეჭვი არ მეპარება, რომ გერმანელები არიან გულწრფელნი, ფაქეიზ გრძნობისა და სანდონი, მაგრამ ასეთის ნდობით აღეუფრთვილი ადამიანების გავლენა, მათი თავიანთის გარეშე პოლიტიკაზე იოტის ოდენათაც არა სჩანს“.

არ ვიტყვი, რომ გერმანელების გარეშე პოლიტიკას განსაზღვრული რამ ბოროტი განზრახვა ჰქონდეს ჩვენს წინაღმდეგ, მაგრამ ესეც კი ცხადია, რომ გერმანელებს პოლიტიკას გერმანიის ინტერესებს დაცვის ფიქრი განაგებს, მაგრამ გერმანიის ინტერესებთან დამაკავშირებელი ქვეყნენიც მოითხოვდა მათი ინტერესების გრძობათა პატივისცემას“.

შემდეგ ავტორი გამოსთქვამს საყვედურს, რომ გერმანელებმა ოტამანის სახელმწიფოს იმედები ვერ გაუმართლეს; ამიერ-კავკასიაში გერმანელების პოლიტიკის შესახებ ავტორი განაგრძობს:

„როგორც არა ერთჯერ გვითქვამს, ჩვენი მთავარი მიზანი კავკასიაში საზღვრების დაცვა, რუსეთსა და ჩვენ შორის სამუდამო კედლის მუფერის სამსახურის გამწევი ახალი დამოუკიდებელი მთავრობების შექმნა და მათი უზრუნველყოფა არისო. გერმანიამ, საერთო პოლიტიკური მდგომარეობის გამოწვევისა გამო რუსების მომადლიერება და მათთან მეგობრობის დაჭერის აუცილებლობა თუ იგრძნო, კულტურანიანი, ლიფლიანდია და ისლანდიაც უნდა მოჰგონებოდა. ეს მიწა-წყლები, რაკი რუსეთის საკეთესო კულტუროვან ადგილებს წარმოადგენს, რუსეთისათვის მეტად საჭირო არის, მაგრამ ჩვენი მოკავშირეების მიერ კი განსაკუთრებით კავკასიაში ჩვენს ინტერესებზე დამოკიდებულ საქმეებში გულუბვითის გამოჩენა და ამ „გულუხვობის“ საქმის ჩვენზე დაუკითხავად გაკეთება საქმის ვითარებაში არა გულწრფელური ბაარეების არსებობასაც გვიჩვენებს, მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მხედველობაში მიღება და ამავე მთავრობის სახელით რუსეთის წინაშე შუამდგომლობის აღძვრაც ზემოხსენებული გარემოების სინამდვილეს ადასტურებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ჩვენ არა გვეთქმის რა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ სახელმწიფოებრივი ცხოვრების უნარი ძმნე ადერბეიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობასაც მოვითხოვდით.

სახელმწიფოებრივი მმართველობის დაარსებაში უნარის გამომჩენი ეს ორი მთავრობა, ჩრდილოეთის გოროსპუბლიკებასთან ერთად არ ეკუთვნებოდა და გაძალეულებულ. ორი მოდგმის განსავლობაში კავკასიის ძაკედონიის საშიმაოს მდგომარეობას მიიღებს და ამით როგორც ჩვენი ისე ძველი ქვეყნიერების მეფეურობა და მშვიდობიანობა დაიიფვეგა. ჩვენი მოკავშირე გერმანია ამ მეაძალებლობას გამბორკილებულს თვალს უუქცეგს და საშუალებებს მისცემს და დღეკანდლამდე თუ მის მიერ ჩადნილ შეცდომებსაც არ გამოაკეთებს, მაშინ მის ძიერ ოსმალეთის ძლეკაოთესილ საკელმწიფოდ გამოაკეთეს შესაძლო ძიცეძული გარაუტეები ცარიელ სიტყვებად უნდა ჩაითვალოს“.

ოსმალეთა ინტერესები კავკასიაში რომ ეძიერიალიტეტი იყო, რომ მათ მოიდიოეს ოკუპაცია ძველი ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოსი, დღეს ეს ყველასათვის ცხადია, გაოდა ზემოთ მოყვანილ წერილის ავტორისა. მაგრამ, როგორც სჩანს, ეიედები სავსებით უცოდეგლია.

ქართული პრესა.

საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა, ამ მდგომარეობის შეცვლა რადიკალურათ ჯერ მაინც არ მომხდარა. წონასწორობა ცოტა ტალი დაირღვა, მაგრამ ბოსებითად არა. ცხადია, საერთაშორისო მდგომარეობის ქაშაოთას თავისი გავლენა აქვს ამიერკავკასიაზე და კერძოთ საქართველოზე. სათ უდა მიექართოოს დღეს დღეკანდელ პირობებში საქართველოს პოლიტიკა და როგორი ბედი მოელის თკვინ საქართველოს? ამ ბეტად მძიმე ტ რთულ საკითხს ანალიზს უკეთებს გაზ. „ერთობა“-და დაასკვნის:

„ამიერ-კავკასიის და მის კულტურულ ცენტრს საქართველოს ისეთი ინიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა წარსასწორობისათვის, რომ შეუძლებელია ის რომელიმე სახელმწიფოს ეოგოს, მით უმეტეს -რუსეთს, ოოიელიც დღესაც ამ ყოფაშია, რომელშიაც ის ვარიაგების თოწვეეის წინ იყო —ოოცა „ქვეყანა ბათი დიდი იყო, მაგრამ წესიერება კი არ ჰქონდა“. და როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, ისეთი დიდნინშნელოვანი კუთხე, როგორც ამიერ-კავკასია და კეინოდ საქართველოა, სელმი ჩაუდგნ ანარქიის ალში გიხვეულ რუსეთს. პირიქით, ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა ისეთია, რომ ადვილად შეიძლება დავრჩეთ ნეიტრალურ სახელმწიფოდ.

მაგრამ ამისთვის საჭიროა ჩვენ თავთ გამოვიჩინოთ უნარი სახელმწიფოებრიობის განმტკიცების და წესრიგის შექმნის საქმეში, რომ სხვა სახელმწიფოს ოპეკა აღარ დარჩეს ამ მხრივ საჭირო.

ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის ყველა სასიცოცხლო ელემენტები უნდა შეერთდნენ და მხარი დაუჭირონ ჩვენს მთავრობას, რომელიც ცდილობს წესრიგი განამტკიცოს ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს ბედი დღეს მისი ხალხის დემოკრატიის, ხელშია. მისი პოლიტიკური მოვალეობაა არა ჩრდილოეთისაკენ ცქერა, არამედ ზრუნვა და მეცადინეობა, რომ ჩვენი ნორჩი სახელმწიფო მკვიდრ ნიადაგზე დადგეს და განამტკიცოს თავისი დამოუკიდებლობა და საერთაშორისო მდგომარეობა.

საქართველოს რესპუბლიკის განმტკიცება —აი ყველას მოვალეობა და ვალებულება. ხალხს საკუთარ მკერდზე უნდა აიგოს მისი სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და ძლიერება. ამისათვის, კი ყველა უნდა ზრუნავდეს ტ მოქმედებდეს.

* * *

გაზეთი „საქართველო“ ითვალისწინებს ახალ პერსპექტივებს და სწერს:

ეხლანდელი მომენტი ყოველისმბრივ ხელისშეწყობია ჩვენთვის, რომ მოვაზღინოთ ჩვენი სახელმწიფოს ბუნებრივ საზღვრების კონსოლიდაცია და ეკონომიური განვითარება უზრუნველ ვყოთ ხანგრძლივი მშვიდობიანობით. ამისთვის სულ მცირე რამ იყო საჭირო: მ ზ ა თ ყ ო ნ ა.

საქართველოს ყველა მოძრავი ძალები, ინტელიგენტური და მატერიალური უნდა გაერთიანდეს სახელმწიფოს ლაგვარდოვან მომავლის უზრუნველყოფათ.

ყოველი ჩვენგანი ვალდებულია მაათ იყოს, რომ მოვალეობა შესარულოს თავის სამშობლოსა და ერის წინაშე.

უწინარეს ყოველისა მთავრობა ვალდებულ დაიანლოგოს და ითანამშრომლოს ყველა საზოგადოებრივ კატეგორიათა წარმომადგენლებთან, რომ ერთობლივის ძმაფრი შრომით განსახიერდეს ერის მტკიცე ნებისყოფა, რომელიც გადამწყვეტს წუთს საკმაო ძლიერი აღძრავდეს, რომ ჩვენ ხალხსა და სახელმწიფოს შესაფერი ადგილი მოუპოოს ერთა ოჯახში.

ჩვენ ისტორიულს ხანაში უნდა ავამოძრაოთ ყოველი უჯრედი ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა, რომ დაგროვდეს მაქსიმუმი ეროვნულ ენერგიისა და მაქსიმალ ეიქონითთ იგი ყოველ საჭირო შემთხვევისთვის.

განა მართლ დღეკანდელი ისტორიულ სადაში უნდა ამოძოვადეს ყველა ცოცხალი ძალა? განა საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკა თავდაცვა აქვთ არ იყო მიმართული? მაგრამ პოოველად განა „საქართველომ“ არ გიყოფა ბანზე? ჭკითხეთ ბ. ჟორულ. მაგრამ თქვენთვის ეიწერო კლასობრივი სიადგი უფრო ბიბიდველი აღმოჩნდა, ვიდრე „ერის ტკბილ ნების ყოფა“ და „ხალხისა და სახელმწიფოს ეოთა ოჯახში მესაფერი ადგილის“ მოპოვება. არა კოიტეკანოთათ და ხხორკედლოთათ, არამედ ნამდვილი სახელმწიფოებრივი ეუმაბოთი, ეოის ინტერესების სწორე გაგებით და მისი დაცვით შეიძლება „სახელმწიფოს ლაგვარდოვან მომავლის უზრუველყოფა“.

* * *

ომი გრძელდება. ზავის შესახებ ლაპარაკი და წერა არ სრულდება, რადგან ეს საკითხი საკაობრიო საკრიბოოოოტა რთული საკითხია. მის ოიგინან გადაწყვეტაზე დამოკიდებულია კაკაობრიობის მომავალი, მაგრამ ზავის გამო სიტყვას ბანზე ადგდებენ ზეოთხნმეანა სახელმწიფონი და ფიქრობენ გეოძანლების განდგურებით მიაღწეონ ზავს. ამას ფიქრობენ, მაგრამ სინამდვილე სხვას გვეტყვის, რადგან გაზ. „სახალხო საქმეს“ სიტყვის არ იყოს:

„დიდხანს ვერ გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა. აქამდე მოკავშირეებს საგრძნობი გამარჯვება არსად უგემნიათ. ეხლა დაზამორება მოუსწრებს ტ ფართო ოპერაციების წარმოება შეუძლებელი გახდება. გაზაფხულამდე ცდა კი არავისთვის არის ხელსაყრელი. მებრძოლთა ოდგომარეობა გართულდა. პირველი ყინული უკვე გაალხო გერმანიის და ვილსონის ნოტებმა და ჩვენ ძალე მოგვნებით მოგვნები ისმისა, რომ ტანჯული კაკობრიობა სისლის მღვრელო აკაკრად შესძახებს: ზავისაკენ!

ეროვნული საბჭო

სხდომა 37

საშუალათი 10 სექტემბერი 1918 ქ. ტფილისი, სასახლე.

შ. ჭ ი ქ ე ლ ა ძ ე (ს. ფედ.)-მე მოგახსენეთ წინა კრებაზე, რომ ამის შესახებ თათბირი გვქონდა ქართველ ისრაელებთან. მათ სურვილი გამოსთქვეს, რომ თუ საერთოდ ებრაელებს ეყოფებათ წარმომადგენლები, მაშინ მათ შეიცუთ 2 წარმომადგენლის უფლება, რომელიც მათ ეკუთვნით, თანასწორ იმ რიცხვისა, რომელსაც ისინი შეადგენენ. მათი რიცხვი 40 თასამდე აღის. რაც შეეხება ამ მოსაზრებას, რომელიც გამოსთქვა ბატონმა გერონტი

ქიქოძეს, რომ არ არის მისაღები სახეში რელიგიური პრინციპია,—ეს საბუთი არ არის. ჩვენ რელიგიური პრინციპი მივიღეთ ქართველი მაჰმადიანებისთვის. ის პრინციპი მივიღეთ, რომ ქართველებს, რომელთაც სხვა რელიგია აქვთ, უნდა ჰყავდეთ წარმომადგენლები სადუმში. ამისდა მიხედვით, ჩვენ შეგვიძლიან მივცეთ ქართველ ისრაელებს ორი წარმომადგენელი.

თავმჯდომარე. მე კენჭს ვუყრი იმ წინადადებას, რომელიც შემოტანილია ბატონ ქიქოძის მიერ, რომ ქართველ ისრაელებს სრულიად არ მიეცეს წარმომადგენლები. მოახსენებელი ამის წინააღმდეგია? ვინ არის მომხრე ამ წინადადებისა? ვინ არის წინააღმდეგი? ვინ არის მომხრე რომ ორი წარმომადგენელი მიეცეთ? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე ეს რიცხვი მიღებულია. სხვა ებრაელებს მიეცეთ ერთი წარომადგენელი. ვინ არის წინააღმდეგი ამ წინადადებისა?

ს. კ ე დ ი ა (ერ. დემ.) საზოგადოდ ამ კანონ-პროექტში არ არის შემშვიებული კოეფიციენტი, რომლის მიხედვით უნდა განესაზღვროთ ხოლმე რიცხვი ამა თუ იმ ერების წარმომადგენლებისა.

ბატონმა მომხსენებელმა სთქვა—კოეფიციენტად უნდა იყოს 20 ათასი. მაშ ჩვენ ამაზე უნდა შეეჩერდეთ. კანონ-პროექტში უნდა იყოს ჩამოსხმული განსაზღვრული ნორიები. ვიმეორებ: თუ კოეფიციენტი არის 20 ათასი, მაშინ ამის ძალით, ებრაელებს არც ერთ წარმომადგენელის ყოლის უფლება არ ექნებათ. სხვანაირი ნორმა ჯერ არ დაუსახელებია მომხსენებელს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

შ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ის აზრი, რომელიც ბატონმა კედიამ გამოსთქვა, რომ არ არის ნორმა მიღებული,—ეს შემცდარი აზრია.

მე ბოდიშს მოგახსენეთ, რომ საერთოდ მიღებული კოეფიციენტი დაახლოვებით 20 ათასი არის. ამით ხელმძღვანელობდა კომისია იმ სიის შედგენაში, რომელიც თქვენს წინაშე წარმოადგინა. რაც შეეხება ორ ერს, აქ არის ნაგულისხმევი ებრაელები და გერმანელები, მათ შესახებ მე უკვე მოგახსენეთ. კომისიამ სასურველად სცნო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი ეროვნული უმცირესობა, რომელიც თავის თავს საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომად სთვლის არ დარჩეს ისე, რომ ერთი წარმომადგენელი მაინც არ ჰყავდეს ეროვნულ საბჭოში. ამისდა მიხედვით, ეს შესწორებანი შემოტანა კომისიამ, და სთხოვს ეროვნულ საბჭოს, რომ გერმანელებს, რომლების რიცხვი შედგენს დაახლოვებით 8 ათასს და დანარჩენ ებრაელებს, რომლებიც არიან 7 ათასი, მიეცეთ თითო წარმომადგენელი.

ი ი ეს იყო საბუთი, რომელიც წარმოადგინა კომისიამ, ეს საბუთი იყო, რომ არც ერთი ერი არ დარჩეს უწარომადგენლოდ. დანარჩენი, არც ერთი ერი სხვა არ არის წარმოდგენილი ისე, რომ მათი რიცხვი დაახლოებით კოეფიციენტზე 20 ათას არ აღწევდეს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. (მიმართავს სპიონდონ კედიას). მაშასადამე თქვენი წინადადებაა, რომ დანარჩენი ებრაელები გამოირიცხნენ აქედან.

სპ. კ ე დ ი ა. დიახ!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბატონმა კედიამ შემოიტანა წინადადება, რომ ებრაელებს არ მიეცეს არცერთი ხმა. ვინ არის ამის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? ვინ არის მომხრე, რომ ებრაელებს მიეცეს ერთი ხმა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია.

კომისიის წინადადებაა. გერმანელებს—ერთი ხმა. ვის სურს სიტყვა ამის შესახებ? სიტყვა ეკუთვნის სადუმის უფროს სპიონდონ კედიას.

სპ. კ ე დ ი ა. ამავე მოსაზრებით, მე წინადადებას ვიძლევი, რომ არც ერთი ხმა არ მიეცეს გერმანელებს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვინ არის მომხრე, რომ არ მიეცეს არც ერთი ხმა გერმანელებს? უკაცრავად, ცუდად დავსვი საკითხი. ვინ არის მომხრე, რომ გერმანელებს მიეცეს ერთი ხმა. გთხოვთ ხელი ასწიოთ. მაშასადამე მიღებულია.

ეხლა, როდესაც მე კენჭს უყრიდი ციფრებს, ბატონმა რევაზ გაბაშვილმა შემოიტანა წინადადება. ეს წინადადება აი ასეთია: (კითხულობს) „ის წარმომადგენელნი, რომლებიც არიან სხვა ერებიდან საბჭოში ჩარიცხულ იქმნენ იმ რიცხვში, რომელიც მიღებულია ამ კანონით“. საქმე იმაშია, რომ ცოტა დაგვიანებით მოვიდა ეს წინადადება, რადგანაც ეს რიცხვი თქვენ მიიღეთ, ამითი ეს საკითხი გადაწყდა, ეს თავიდანვე „უარყოფილია არსებითად, მაგრამ ეროვნულ შემთხვევაში, რომ საშუალება მოგაცეთ თქვენი აზრი გამოთქვათ, მე კენჭს უყრი ამ წინადადებას, წინადადება ასეთია: (კითხულობს) ის წარმომადგენელნი, რომლებიც არიან სხვა ერებიდან საბჭოში ჩარიცხულ იქმნენ იმ რიცხვში, რომელიც მიღებულია ამ კანონით. თუ გნებავთ თვენი აზრი გამოსთქვით.

გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი (ერ. დემ.) წარსულ კრებაზე მე უკვე მოგახსენეთ, რომ ეს რიცხვი გადადებულია; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, თქვენგან მიღებულია, საბჭოსგან უკვე მიღებულია ეს წარმომადგენლობა ეროვნულ უმცირესობის ისე როგორც აქ არის. მაგრამ ჩვენ ვგულისხმობთ რომ სომხები, რომელნიც აქ არიან, რასაკვირველია ჩაირიცხებიან ამ რიცხვში, აქ უკვე არის ორი სომხის წარმომადგენელი, მაშასადამე მათ ეყოფათ 8 ახალი წარომადგენელი, ისევს ჰყავთ ორი, მაშასადამე ახალი წარომადგენელი არ ეყოფებათ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

შ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. (ს. ფედ.) ის წარომადგენელნი, რომელნიც საბჭოს წევრებად ითვლებიან, არ არიან წარომადგენელნი ეროვნული უმცირესობისა. ისინი არიან წარომადგენელნი განსაზღვრულ პარტიებისა, მაგალითად სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა და სხვებისა, როგორც პარტიის წევრები, და არა როგორც ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელები.

ამ მოსაზრებით, ეს წინადადება მისაღები არ არის.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ამ წინადადებას კენჭს უყრი. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე ეს წინადადება უარყოფილია.

ბოდიშს ვიხდი, აქ გამორჩენილია ბერძნები. ვინ არის მომხრე რომ ბერძნებს მიეცეთ ერთი წარმომადგენელი? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია. ამ რიგად, პოლელი მუხლი, სადაც საერთო ჯამი არის ამ ციფრებისა თავისთავად მიღებულია. შემდეგ, მუხლი მეორე, გთხოვთ წაიკითხოთ.

იოს. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი. (ადგილიდან) ქისტები, ლეკები და აისორები?

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. თუ გნებავთ წინადადება შემოიტანეთ და მაშინ სიტყვას მოგცემთ.

შ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე. ახალი მეორე. (კითხულობს) წარმომადგენელები ეროვნულ უმცირესობათა მოწვეულ იქმნენ ამ ერების ეროვნულ საბჭოებიდან, რომელნიც არჩეულნი არიან საქართველოს მოქალაქეების მიერ და საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში მოქმედებენ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ნებავს სიტყვა მეორე მუხლის შესახებ? არავის. ეუფრი კენჭს. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ შენიშვნა.

მ ო მ ხ ს ე ნ ებ ე ლ ი (კითხულობს).

შ ე ნ ი შ ნ ვ ა სადაც ასეთი საბჭო არ არსებობს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრის არჩევის უფლება მიეცეთ ისეთ ერის წარომადგენლებს, რომელნიც არჩეულნი არიან სხვა და სხვა დემოკრატიულ დაწესებულებაში საქართველოს რესპუბლიკაში.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ნებავს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი ამ შენიშვნისა? მაშასადამე მიღებულია. კენჭს ეუფრი მთელ კანონ-პროექტს. ვინ არის წინააღმდეგი?

სპ. კ ე დ ი ა. შენიშვნის სახით, თუ შეიძლება.

იოს. მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი. წინადადება იყო შემოტანილი ლეკების, ქისტების და აისორების მიეცეთ წარომადგენლები.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მეორე მუხლი უკვე განხილული გასლავს და მიღებულია. თქვენ დროზე არ შემოიტანეთ ეგ შესწორება და ამიტომ კენჭს ვერ ეუფრი. (კედიას მიმართავს) თქვენ შესწორება გებაგვდათ?

სპ. კ ე დ ი ა. (ერ.-დ.) დიახ, შენიშვნის სახით მსურდა საბჭოს, წარსულ კრებაზე ბატონმა ჩიქოვანმა ეს საკითხი დაუკვეშირა იმ საკითხს, ოთმ, ჩვენი ოწვანენი, ამ საკითხის გამოცხადება შეიძლება მაშინ, ოდესაც ეს ის საკითხი წაიხაწყო იქაეა გადაჭიეული. ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, ოთმ ეხის საკითხი, რა ენაზე უნდა ილაპარაკონ აქ ამ წარმომადგენლებმა,—დაისვას საბჭოს წინაშე და იყოს გადაწყვეტილი ისე თუ ისე.

ამიტომ, უბრუნდებით რა შენიშვნას ბატონი ჩიქოვანისას, ეთხოვ საბჭოს იქონიოს ამაზე მსჯელობა და თავისი დადგენილება გამოიტანოს, ვინაიდან წინასწარ გადაჭრა ამ საკითხისა აუცილებელია იმისთვის, რომ იმ საბჭოებმა აირჩიონ გამოსადგი პირები.

ამ საკითხის შესახებ ჩვენმა კომისიამ გამოიჩინა ისეთივე გულუფვრა, როგორც ამ კანონ-პროექტის შემუშავების დროს. მაშინ შეიძლება დავთოოოთ ნება, რომ ილაპარაკონ იმ ენაზე, რომლეზედაც მოისურვებენ. მაშინ ჩვენ თავიდან ავიცდენთ სკანდალს, მაგრამ, თუ ჩვენ დადგეშეეეტთ, რომ აქ, საბჭოში, ლაპარაკი უნდა იყოს ქართულ ენაზე, აუცილებელია, რომ ეს წინასწარ გაიგონ საბჭოებმა იმ ეროვნულ უმცირესობათა, რომლებმაც უნდა გამოგზავნონ წარმომადგენლები, წინასწარ გაიგონ, რათა ისეთი პირები აირჩიონ, რომლებსაც შეეძლებათ ლაპარაკი, ქართულ ენაზე მსჯელობა. ამ საკითხის წინასწარ გადაჭრა აუცილებელია, რომ ამ კანონ-პროექტმა თავის თავი განანადგოს უსაანდაღლოდ. ამისთვის საჭიროა, რომ საბჭომ ამაზე იქონიოს მსჯელობა.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. უნდა მოგახსენოთ, რომ ბ. ჩიქოვანის წინადადება მე აქ მაქვს შენიშვნის სახით, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ენაზე დღეს მსჯელობა უფერხულად და უადგილოდ მიმაჩნია, რადგანაც წესრიგში არ არის შემოტანილი, ამიტომ ამაზე კამათი შეუძლებელია, ჩემის აზრით, რადგანაც ეს საკითხი მეტად სერიოზულია. საბჭომ ამ საკითხს უნდა გასცეს პასუხი. გზა ასეთი გვაქვს. შემდეგ კრებაზე ეს საკითხი შემოტანილი იქნება დღიურ წესრიგში, ამის შესახებ ფრაქციებს მოლაპარაკება ექნებათ, და აქ გადასწყდება თუ როგორ უნდა მოვექცეთ ამ საკითხს, გადავცემთ კომისიაში თუ არა, თუ ასე გნებავთ, ამ საკითხს შემდეგ კრებაზე შემოვიტანთ, და მაშინ გვექნება ლაპარაკი, თუ როგორ მოვექცეთ, გნებავთ გადავცემთ კომისიაში, გნებავთ მსჯელობა გვექნება იმავე კრებაზე

სპ. კ ე დ ი ა. მე კმაყოფილი ვარ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მაშასადამე ეს კანონ-პროექტი მიღებულია.

ზეცდომის გასწორება.

„საქართველოს რესპუბლიკის“ № 69 ბატონ მალვა მიქელაძის სიტყვა შემდეგი შეცდომით დაიბეჭდა: „რაც შეეხება რუსებს, ჩვენ მივიღეთ ხელდეელმბაზნა, რომ რუსების რიცხვი საერთოდ 100.000 რიცხვს არ აღემატება, შეიძლება ამ რიცხვში მარტო ნახევარი იყოს ჩვენი ქვეშევრდომი, ამიტომ ჩვენ ეს რიცხვი. გვეკადეთ, მივიღეთ 50.000. ვიანგარიშეთ ამისდა მიხედვით და, რადგანაც ჩვენში ცხოვრები რუსობა ჩვენს ცხოვრებაში ბევრს არას წარომადგენს,—მივანიჭეთ ორი ხმა, და თქმა უნდა, იმ ეროვნულ საბჭოსაგან, რომელიც ამ ქვაბად არსებობს“.

უნდა იყოს: „რაც შეეხება რუსებს, ჩვენ მივიღეთ ხელდეელმბაზნა, რომ რუსების რიცხვი საქართველოში თუმცა 100 ათას აღემატება, მაგრამ ამ რიცხვიდან საქართველოს საზღვრებში მხოლოდ ნახევარი დარჩება როგორც საქართველოს მოქალაქე ე. ი. 50 ათასამდე. ამის და მიხედვით რუსობას მიენიჭა ორი ხმა. ამ ორ, წარმომადგენლის არჩევა შეძლიან, რა თქმა უნდა, არა იმ ეროვნულ საბჭოს, რომელიც ამ ქვაბად არსებობს, არამედ მხოლოდ ისეთს, რომელიც შესდგება თანაბმად ჩვენ მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტისა“.

საქართველოს პარლამენტი.

(მე-49 მორიგი კრება)

პარასკევს, 1918 წ. ოქტომბრის 18-ს

დღიური წესრიგი:

1. საბოლოო ტექსტი—სახალხო სკოლების მასწავლებლების ნიფთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების კანონისა.

მომხსენებელია შ. ამ ი რ ე ჯ ი ბ ი.

2. საბოლოო ტექსტი—ტფილისის ქალთა უმაღლესს კურსებისათვის სახელმწიფოს ხაზინიდან 50.000 მან. მიცემის კანონისა.

მომხსენებელია შ. ამ ი რ ე ჯ ი ბ ი.

3. კანონ-პროექტი—ფოსტა-ტელეგრაფის დ ტელეფონის ქსელის გამოყენებისა.

მომხსენებელია დ. თ ო ფ უ რ ი ძ ე.

4. კანონ-პროექტი—ახალ წიგნთ-საცავ-სამკითხველოების გახსნის შესახებ.

მომხსენებელია ლ. ნ ა თ ა ძ ე.

5. კანონ-პროექტი—ფინანსთა დეპარტამენტიდან ეროვნულ საბჭოებისა ცენტრალურ შტატებისა.

მომხსენებელი ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

6. კანონ-პროექტი—ადგილ დაწესებულებებში საკანცელარიო გადასახადისა.

მომხს. დ. შ ა რ ა ბ ი ძ ე.

7. კანონ-პროექტი—ბავ ქვის გადასახადი ტარიფის გადიდებისა.

მომსენებელია დ. თ ო ფ უ რ ი ძ ე.

8. კანონ-პროექტი—ბავ ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრებისა.

მომხს. დ. თ ო ფ უ რ ი ძ ე.

9. დამოუკიდებელ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის თხოვრებისა—და სახელმწ. კონტროლიორისადმი შეკითხვა—30 მილ. საანგარიშო ფინდის შესახებ.

დღეს საქართველოს პარლამენტის მორიგი კრებაა.

პასტარა შენიშვნები.

9.

მსოფლიო ომით შემქნილმა პირობებმა საერთო კრიზისი გამოიწვია, შეჩერდა წარმოება, შემცირდა მუშათა ხელი, ბაზარი დაცალიერდა, პირველ მოთხოვნილებისითვის აუცილებელი საგნები სანატრელად გადაიქცა, მაგრამ კერძოთ ჩვენი და ეკონომიური ცხოვრება ამ როგიად არ გაჯოჯოხეთდებოდა, რომ მადა გახსნილი სპეკულიანტები არ მოგვლინებოდნენ. ეს ვაჭარტონები ხელოვნურად სწვეს ისეთივე გამოცარიელებულ ბაზარზე უსაქროოს საგნების ფასს. სქელდება მათი უძრო ჯიბები და უკიდურეს მდგომარეობაში ვიარდეს მოქალაქე. დაავნებოთ თავი ტანსაცმელისთვის ქსოვილებს, ზაქარი და ჩაიც „როსკოშათ“ ჩავთვალოთ, მაგრამ ჰარს ვერ აუცლით გვერდს, უომისოდ არსებობა შეუძლებელია, მის მაგიერობას სხვა საგანი ვერ გასწევს, ყოველივე ეს კარგად მოიხსენებთ ჩვენს სპეკულიანტებს, და უმთავრესი მათი ეფორადება პურისკენაა მიპყრობილი; ვინ არ გინდოდეს ფეხ პურით არ ეაჭრობდეს; ეაჭიობენ როგორც სურთ და როგორც მოუხდებათ.

სპეკულიაციასთან ბრძოლის შესახებ როდენიმე მოხსენება მოისმინა ჩვენმა პარლამენტმა და უკანასკნელად დაადასტურა კანონი, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ყოველი მოვაჭრე მოვალეი გამოფინოს საეაჭროში ნიხრი რამდენსაც თვალსაჩინო ადგილას, ავრეთვე იქონიოს დაწერილებითი სია საწყობში შენახულ საქონლისა, როგორც დანიხრელისა ისე დაუნიხრავისა“. კანონი სპეკულიაციის შესახებ შედის ძალაში „საქართველოს რესპუბლიკაში“. მისი გამოქვეყნების შესაბამ დღიდან, მაგრამ გადის კვირეებიც, და სამწუხაროდ ამ კანონის განხორციელებას ჯერ ბევრი რამ აკლია. სპეკულიანტები, დღესაც თარეშობს. ვისაც კი ეევლება ამ კანონის განხორციელება და მისთვის ხელის შეწყობა, ვალდებულია მთელი ძალ-ღონით ეცადოს სპეკულიანტისთან ბრძოლა განაყოფიერებულ და გამარჯვებით დაგვირგვინდეს. პირველი ადგილი აქ ქალაქის თვითმართველობას უჭირაეს და მათი მოვალეობაა ამ კანონის გატარებით ალაგმონ სპეკულიაცია და მოქალაქეთა კეთილდღეობას ემსახურონ.

***

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ დაკანონებული დებულება რესპუბლიკის ღროებითი საგანგებო სასამართლოს შესახებ. ვინ არ იცის, სულ ახლო წარსულში რა რიგ დატანჯული იყო ჩვენი ხალხი სამართლიან სასამართლოს უქონლობის გამო: სად იყო სამართალი, კანონი, რომელ მოსამართლესაც, როგორც მოეპრიანებოდა ისე შეუბრუნებდა გვერდს რუსეთის კანონს და მათ ხელმძღვანელობდა დამნაშავის თუ უდანაშაულო მოქალაქის ბედის გადაწყვეტის დროს.

კანტროული მას არ აშინებდა, რადგანაც რუსეთის თვითპყრობელობის დროს „ნამდვილათ არ არსებობდა.

ეს დებულება ღროებითია,—სანამ ნფიც მსაჯულთა ინსტიტუტი იქნება შემოღებული.

აღსანიშნავია დებულების 31-ე §-ი, რომლითაც უქმდება რეგოლიუციონური ტრიბუნალები და მათ წარმოებაში მყოფი საქმეები გადაეცემა სათანადო სასამართლოებს. რეგოლიუციონური ტრიბუნალები ღროებით, რეგოლიუციის გარდამავალ ხანას ეკუთვნოდა; ღღესეა, როცა ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება ყალიბდება და ნორმალური ტემპით იწყებს მსვლელობას, რეგოლიუციონური ტრიბუნალების მოსაბაბაც ბუნებრივად უნდა ჩათვალოს.

***

ჩვენი სახელმწიფოს მტრები, უმეტესად ვეთვმ „სოციალისტურ“ სამოსელში ბანაეულნი იმასაც კი ვაიძახიან, რომ ღღეეანდელ საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ხალხის მიერ არ არის არჩეული, ხალხი მათ არ ენდობა და სხვა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პარლამენტის ფუნქციებს ასრულება ოკარა ეროვნულმა საბჭომ, სადაც შედიან ჩვენში არსებული ყველა ფრაქციის წარომადგენლები. დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დამფუძნებელი კრების მოწვევა ძალიან ძნელი საქმე იყო: მას ხელს უშლიდა ერთი მხრით ჩვენში გაჩეეებული ანარქია, რომლის ჩასაკრობათ იყო მიპყრობილი ჩვენი მთავრობის უმთავრესი ყურადღება და მეორე მხრით საერთაშორისო მდგომარეობა; ღღესეა კი მდგომარეობა ჩვენდასასარგებლოდ შეიცვალა: ანარქიის ეეეცხლი მინელდა და საერთაშორისო სფეროში საერთო მდგომარეობაც ჩვენდა საკეთილოოთ მიმდინარეობს და სწორეეი ეხლა შეიძლება ლაპარაკი დამფუძნებელი კრების მოწვევის შესახებ; სამამაო მუშაობის კიდეეაც დიდი ხანია შეუდგა დამფუძნებელი კრების საარჩევნ-

ნო კომისია, რომელმაც უკვე შეიმუშავა დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა.

დებულება შესდგება ათი მუხლი საგან: თვითეული მუხლში მოხსენებულია ამომრჩევლის უფლებანი და საარჩევნო წესები.

სხვა და სხვა არჩევნების დროს ვიწრო პარტიული თუ სხვა ნაადგზე ხშირად ჰქონდა ჩვენში უწესობას ადგილი. ამ გარემოებისათვის კომისიას ყურადღება მიუქცევია.

ახლო მომავალში წარედგინება ეს საარჩევნო დებულების პროექტი პარლამენტს განსახილველათ და დასამტკიცებლათ მაგრამ დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ არ კმარა მარტო საარჩევნო დებულების შედგენა. საჭიროა აგრეთვე რაც შეიძლება მალე გადაწყდეს და გამოირკვეს მოქალაქობის და ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების საკითხი.

ბ.

იორ-ბუღანლოელ და საგარეჯო-გიორგი წმინდელ ქართველ-თათართა შორის უთანხმოების ლიკვიდაცია.

(ნაბეჭდი ტფ. გუბ. კომისარის შ. ნ. მაჯდა-ველიანისგან.)

დაწყებული, 1917 წლის 1 აგვისტოდან იორ-ბოღანლოს თათრებსა და საგარეჯო-გიორგი წმინდის ქართველებს შორის გავრცელდა მსხვილი პირუტყვების მოტაცება და ურთიერთის ძარცვა-გაქურდვა, რაც თანდათან აწყვავებდა მათ შორის მტრულ განწყობილებას და დიდს უბედურებას უქადდა მათ. ამ ამბებს ჩვენი პრესის გამოხმაურება და ოსმალეთის წარმომადგენელთაგან შეკითხვაც კი მოჰყვა, რის გამო საჭიროთ მიმაჩნია ვაცნობო საზოგადოებას, რომ იორ-ბუღანლოს თათრებსა და საგარეჯოელ ქართველთა შორის დღეს სრული სიმშვიდე დამყარებული და ეს მოხდა ორივე მხრის შეთანხმებითა და სრული ნება-ყოფლობითა. ამას შემდეგ, რაც სექტემბრის შუა რიცხვებში მე ტფილისის და სიღნაღის მაზრების კომისარებთან ერთად მოველაპარაკე მტრულ განწყობილებაში მყოფ ქართველ-თათართა. ჩვენს ახსნა-განმარტებასა და რჩევა-დარიგებას მოყვა შეერთებული კრება, რომელზედაც შესდგა სია უთანხმო შორის გატაცებული საქონლისა, რომლის ნაწილი იქნე დაუბრუნდათ პატრონებს, მაგ. ქართველებმა დაუბრუნეს 130-მდე მსხვილი პირუტყვი, და დანარჩენის შესახებ დასდეს ხელწერილები, შეპფიცეს ერთმანეთს და პირობა დასდეს აღნიშნული დღიდან მოესპოთ ყოველგვარი უთანხმოება და ერთმანეთის შეეწიწროთა ორივე მოწონაადმდგე მხარეთ წარმომადგენლების ხელმოწერილი ფიცის ფურცლის, შეიგებების ოქმის და დარჩენილი ანგარიშების ასწორების ხელ-წერილის ორდერის ასლები ჩემს კანცელარიაში ინახება.

ამ რიგათ საზოგადოებაში გავრცელებული აზრი შესახებ სიღნაღის მაზრის ქართველთა და თათართა შორის დიდი არეულობის შესახებ დღეს უკვე სინამდვილეს აღარ შეეფერება.

დეპეშები.

ომი.

ბერლინი, ოქტ. 16 დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ფლანდრიაში მტერი შეტევებს განაგრძობს. უმთავრესად მტერი უშენდა ტორხუტს, მაგრამ ტორხუტი ისევ ჩვენს ხელში დარჩა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ბოხენის და ფაზის შუა მტერმა იერიში მოიტანა, რომელიც უნაყოფოდ ჩატარდა. მდ. ენთანაც ბრძოლაა, რომლის დროს ჩვენ მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ.

გალიციის ლაშქარი. არგონის და მაასის შუა აფრიკელებმა ძლიერ შემოუტიეს, მაგრამ ისინი ჩვენი კონტრ-იერიშით დამარცხდნენ. მაასთან მტრის შეტევა ჩვენს სასარგებლოთ დამთავრდა. ამერიკელებიც დიდათ დაზარალდნენ.

სტამბული, ოქტომ. 16. სამხედრო ცნობა: ფრონტებზე ახალი არაფერია.

ვენა, ოქტ. 16. კასო-როსოოსთან ჩვენმა ნაწილებმა დაამარცხეს იტალიელთა იერიში. სერბიაში და ალბანიაში ჩვენს წინსვლაზე მტერს გაეღინა არა აქვს.

ბერლინი. რეზელიარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ეერიის და მაასის შუა მტრის შეტევები ვერ დამთავრდა გამარჯვებით. ინგლისელები უშენენ ქ. დანენს, რომელიც ფრანგ ლტოლვილებით არის სავსე.

პარიზი. ფრანგებმა გაიმარჯვეს სისონის ჩრდილო-დასავლეთით და გრანდერეს დასავლეთით.

ბერლინი. ატლანტიის ოკეანეზე ჩვენმა წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს მტრის რამდენიმე სავაჭრო გემი.

უცხოეთი.

საზღვრ დეშანსტრაგეა იტალიაში.

ლუგანო, ოქტ. 15. იტალიაში დემონსტრაციები ხდება ზავის სასარგებლოდ, მაგრამ ცენზურა ამის შესახებ არაფერს უშვებს მხოლოდ მიღანის ქალაქის თავის მოწოდება გაუშვა ცენზურამ. ქალაქის თავი მადლობას უძღვნის დემონსტრაციის წესიერად ჩატარებისათვის.

ზავი სკანდ.

ბაზელი, ოქტ. 15. ოსმალეთის ელჩმა იტალიის მთავრობას შეერთებულ შტატების ნოტა გადასცა, რომელშიაც ის მოუწოდებს ზავისათვის და დროებითი ზავის ჩამოგდებისათვის ვილსონის დებულებათა საფუძველზე.

დეროდ ვიდნა.

გერმანიის ლაშქრის მთავარსარდლის თხოვნით, მთავრობამ თხოვნით მიმართა შვეიცარიას, რათა მან გააგებინოს საფრანგეთს, რომ ქ. კალნი დიდი მეფილვარებია მოსალოდნელი სროლის გამო. იმ შემთხვევაში, რომ ხალხი გაიქცეს, გერმანიის უმაღლესი მხედრობა ვერ შესძლებს იზრუნოს მასზე, მიუხედავად მისი სურვილისა. ამაკე დროს ჰოლანდიასაც დაეკითხნენ, შეუძლიან თუ არა მას დახმარება გაუწიოს ლტოლვილებს. ჰოლანდიამ განაცხადა, რომ ის მზად არის დახმარება გაუწიოს ლტოლვილებს, რამდენადაც მისთვის შესაძლებელია. საფრანგეთის მთავრობიდან კი ჯერ არაფერი პასუხია.

ახალი ამბები.

მთავრობავი.

○ მთავრობამ მიანდო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს მოიწვიოს ამ მოკლე ხანში წარმომადგენელნი საქართველოს მრეწველობისა, ქალაქთა კავშირისა, კოოპერატივთა კავშირებისა და სხ., რათა მოლაპარაკება იქნას გამართული გერმანელებთან საქართველოს მიერ დადებულ ეკონომიურ ხელშეკრულებათა მიღებისათვის; უწყებულ კრებაზე საქართველოს დელეგაციის წევრი ნიკო ნიკოლაძე გააცნობს დამსწრეთ თავის მოსაზრებას.

○ მთავრობამ განათლების მინისტრს დროებით მიანიჭა უფლება შესცვალოს ინსტრუქციის წესით ზოგიერთი მუხლები საშუალო სკოლათა დროებითი დებულებისა, რომელიც შემოიღო (12 ენკენისთვე 1917) ყოფილმა „ოზაკომ“, შემდეგში საშუალო სკოლების ორგანიზაციისა და მართვა-გაგეგობის ძირითადი დებულებანი შემოშავებულ უნდა იქნენ შეტანილნი პარლამენტში დასამტკიცებლად.

○ მთავრობამ ნება დართო შტაბის უფროსს ბოლკოვნიკ თუბარიელს მიიღოს აფხაზეთის ყოფილი სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვარლამ შარავშიძის ჩეკით სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში სოხუმში რვა ათასი მანეთი, რომელიც სესხად აიღო აფხაზეთის ყოფილმა სახალხო საბჭომ იქ მოქმედ შტაბისაგან.

○ მთავრობამ მოისმინა შრომის მინისტრის კანონ-პროექტი დღესასწაულების შესახებდდ დაადგინა: ეს კანონ-პროექტი გადასცეს შინაგან საქმეთა მინისტრს და დაავალოს მოლაპარაკოს საშოვდელოების წარმომადგენლებს ამის შესახებ. ამ კანონ-პროექტში ის აზრია, რომ მოძრავი დღესასწაულობა. ძველი სტილით დარჩეს ხოლო და დანარჩენი ახალ სტილით იდღესასწაულონ.

○ მთავრობამ მისცა ავანსად სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ათმილიონიან ფონდიდან მილიონ ნახევარი მანეთი: ერთი მილიონი ოჰერაციებისათვის, ხოლო ნახევარი მილიონი სურსათის საყიდლად.

○ მთავრობამ ტფილისის სასამართლოს პალატის ბრალდებელს სისხლისსა სამართლოს მილეკიის რეფუზნის მოხდენის ნება დართო.

○ საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომისიის თავმჯდომარის დანიშნა მთავრობამ შემდეგ სხდომამდე გადადო, სანამ სხვა კანდიდატსაც დაასახელებდენ.

○ ფინანსთა მინისტრს მთავრობამ ნება დართო გაუგზავნოს ადერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობას 20 ათასი მანეთი რუსეთის ფული ამერეკეკასიის ბონგების ანგარიშში.

○ მთავრობამ დაადგინა სახალხო განათლების მინისტრს მიეცეს 4,300 მან. ამიერ-კავკასიის საბეჭდო ინსტიტუტში ნაციონალიზაციის გასატარებლად.

○ ეუსტიციის მინისტრის მოხსენებისაგან მთავრობამ საჭიროთ სცნო ქუთაისის საგუბერნიო, სამაზრო და საქალაქო სასურსათო კომიტეტების რეგიონა. რეგიონის კომისიის თავმჯდომარე მთავრობის მიერ უნდა იყოს დანიშნული.

○ მთავრობამ შეიწყნარა ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მმართველობის თხოვნა, რომ ამ სასწავლებლის წესდება შეცვლილ იყოს და მასს მიეცეს უფლება უძრავ მამულის ყიდვა-გაყიდვისაა დ დაგირავებისა.

○ მთავრობამ დაადგინა, შავ ქვაზე დაარწესოს დამატებითი ტარიფი 38,5 კაპ. ფუთზე.

ერრგბა.

○ ცხინვალის რაიონიდან ერრობაში გავიდნენ მხხლოდ სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც მიიღეს 7,000 ხმა. მთის ოსებში არჩევნები ჯერ არ მომზდარა, მიუხედავად იმისა, რომ ოსების საბჭომ ეს გადასწყვიტა. მიზეზი სოც.-რევოლუციონერების ბოიკოტია. ისინი მოითხოვენ ოსეთის გამოყოფას ცალკე საერობო ოლქათ.

○ მანგლისის ოლქში ერობის არჩევნები გათავებულა. სია ერთი იყო სოც.-დემ. და სოც.-ფედ.

ტფილისის მაზრის ერობის ხმოსნათ არჩეულნ იქნენ მ. ს. ქარაკეთაძე, ა. ვ. გოგიანაშვილი, ი. ი. სტრუნა, ადამ ტეზელაშვილი და პ. ი. ბორისოფი-ბერძიე.

○ ბელი-ალეოიჩის ოლქშიაც გაუთავებიათ ერობის არჩევნები, აქაც სოც.-დემ. და სოც.-ფედ. შეერთებული სიით. ტფილისის მაზრის ერობის ხმოსნათ არჩეულნი არიან: ტ. ს. საგარაძე, ა. გ. კოკანოვი, დ. ი. კიხაეი, ს. ი. არამაშვილი, ი. ი. ხოჯიევი, მ. ა. ხეთაგური და ი. ი. ლანგენშტეინი.

○ შესდგა კერძო თათბირი ტფილისის მაზრის ერობის ხმოსნებისა, რომელზედაც ამოირჩიეს რამდენიმე კომისია სხვა და სხვა კონსტრუქციული პროექტების შესადგენათ. პირველი მაზრის საერო კრება დანიშნულ იქნება ამ ახლო ხანში.

○ მთავრობის თავმჯდომარეს შემდეგი დეპეშა მოუვიდა: „თელავის მაზრის საერობო ხმოსანთა პირველი ყრილობა აღფრთოვანებულია საქართველოს დემოკრატიის გამარჯვებით, რომელმაც მშრომელ ხალხს მისცა ერობა—სოუკეთესო საშუალება კულტურის აყვავებისა და ეკონომიური კეთილდღეობისა. ყრილობა მოგესალმებათ თქვენ და გეფიცებათ, რომ თავიანთასთან ერთად იბრძოლეს პროგრესისა და კულტურისათვის. ყრილობის თავმჯდომარე ბუმბერიძე“.

სასურსათო საქმე.

○ ქალაქის გამგეობამ ნება დართო სანოვაგისა და სასმელების მაღაზიების პატრონებს, რომ მათ მეტ ფასად გაყიდონ ღვინო 10 პროც. მომატებით პრეის-კურანტში დანიშნულ ფასზე.

○ იმ 25 ვაგონი ხორბლის შესასყიდად, რომელიც სასურსათო საბჭოს სახელზე ფოთში მოიტანეს ყუბანეს, დასახელებულ საბჭოს გადასცა ჩეკებით ტფილისის ქალაქის გამგეობამ 300,000 მან., საქართველოს ქალაქების კავშირის უმთავრესთან კომეტტეზ—150 ათასი მანეთი და ამიერ-კავკასიის კოოპერატივების კავშირის გამგეობამ—ასი ათასი მანეთი.

პარლამენტში.

○ ოქტომბრის 17-ს ნაუშადღეგის პირველის ნახევარზე შესდგა პარლამენტის არა ჩვეულებრივი კრება. ბერლინიდან დაბრუნებულმა ჩვენი დელეგაციის მრჩეველმა ბატონმა ნიკოლაძემ წარუდგინა პარლამენტის წევრებს მოხსენება ინ 4 ხელშეკრულების შესახებ, რომელიც დასდო ჩვენმა დელეგაციამ გერმანიასთან. ირ. წერეთლის წინადადებით, მოხსენება, როგორც მასალა, გადაეცა საფინანსო კომისიას.

სახალხო განათლება

○ ამ ჟამად ქართულ ენის შესწავლის მსურველნი, არა თუ არაქართველთაგანი, არამედ თვით ქართველებიც, რომელნიც გადაჩეულან და ან სრულიად არ იციან დედა ენა,—მრავალია და მათ შორის ბევრს შეძლება არა აქვს, რომ სახელმწიფო ენის სასწავლელად იმ ზომი ფასი გადაიხადოს, რომელსაც კერძო კურსებში ახდეკინებენ. ამის გამო საქართველოს ქალაქების კავშირის უმთავრეს კომიტეტში აღძრულია კითხვა ამ პირთათვის ქართული ენის შესწავლის კურსების დაარსებაზე მცირე ფასის გადახდევნებით.

გამოცემულა.

○ რედაქციამ მიიღო გერმანულ ენაზე წიგნი: „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობა“ შედგენილი ცნობილ პროფ. ლისტის მიერ. წიგნი გამოცემულია ბერლინში. ამ დღეებში მის თარგმნას ჩვენს გაზეთში მოვთავსებთ.

ოსმალების წასვლა და ძარცვა-გლეჯა.

○ ამ დღეებში აბასუთშენიდან დაბრუნდა იქ გაგზავნილი მიმდები კომისიის წევრი ერ. რამიშვილი, რომელიც გაგზავნილი იყო აბასუთშანის სახაზინო ქონების მისაღებად. ბ-ნმა რამიშვილმა მიწოთ-მოქმედების მინისტრს მოხსენება მიართვა, რომელშიაც ეროკლეთ არის აღწერილი, თუ როგორ გაუნადგურებიათ და გაუძარცვავთ აბასუთშანი ოსმალეთის ჯარს წასვლის დროს, და მას შემდეგ ახლო მდებარე სოფლებიდან ჩამოსულეულ თათრების ბრბოებს. აბასუთშანის მკვიდრი მცხოვრებლების სიტყვით, ოსმალეთის ჯარს, თურმე, ათი დღის განმავლობაში 150 მეტი დატვირთული ურმებით გაუწიდია აბასუთშანიდან მათ მიერ ნაძარცვი ქონება. ზოგი ქონება მიჰქონდათ ახალციხის და ახალქალაქის მაზრების სხვა და სხვა სოფლებში, ზოგი კი უფრო ძვირფასი ნივთები ბათომსა და ყარსში. არც ერთი სახლი არ გაუშვიათ გაფძარცვავი. წაუღიათ სულ რაც კი ხელში ჩავარდნიათ, 90 პროც. სახლების კარებები და ფანჯრებიც კი ჩამოუხსნიათ და გაუზიდიათ. სახლებიდან ეუსტის სახურავებიც კი მოუგლეჯიათ და წაუღიათ. გადარჩენილ მარტო წითელი ჯვრის დაწესებულება, რასაც თათრების ხელი არ მოხვედრია. აწყვეტიდან აბასუთშენამდე მდებარე თათრების სოფლებიც სავსე არის აბასუთშანში დატაცებულ ქონებით, გარდა ბათომისკენ გაგზავნილისა. ამ გზაზე ოსმალელები ეხლაც დიდძალ პურს, კართოფელს, ხილს და სხვა სანოვაგეებს გზავნიან, ეს სანოვაგეც ბევრი წილი უფასოდ არის მათ მიერ შეძენილი. ამ ორ მაზრის მცხოვრებლებს იმედი აქვთ, რომ ოსმალეთი წავიელ აქედან და ნატრულობენ იმ დღეს, როდესაც ამ მაზრების მცხოვრებლები, ნამეტნავად ქრისტიანები, ეღირსებიან საქართველოს რესპუბლიკას შეუერთდნენ, მაგრამ ამასთანავე შიშობენ, რომ წასვლის დროს ოსმალოს ჯარმა მათაც ის დღე არ დააყენოს, როგორც აბასუთშანს... ამის გამო ამ მაზრების მცხოვრებნ კომისიის წევრებისათვის უთხოვიათ მათი სახელით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას სთხოვონ, თუ რომ ოსმალები წავლენ ამ მაზრებიდან, იგი ნუ დაადგენინებს ქართულ ჯარის გამოგზავნას და სხვა ღონისძიებას მათი და მათ ქონების დასაცავათ. მიმდები კომისიის დაახლოებებითი გამოანგარიშებით, თათრების მიერ აბასუთშანის დარბევის გამო, ზარალი 3—4 მილ. მან. უდრის.

სხვა და სხვა ამბები.

○ ამჟამათ ცხინვალში ოსების საბჭოს ყრილობაა. როგორც მოხსენებიდან სჩანს, შედარებითი სიწყნარე ჩამოვარდა: იარაღს იყრიან, ყაჩაღებს სდევნინ, მილიცია არ ყოფნით, მთავრობას სსოოვენ თანმხლ მილიციის გასაძლიერებლათ. საქართველოს პარლამენტში ოსებმა ამოირჩიეს გიორგი გაგლოევი და ალექსანდრე თიბილოვი.

○ ახალ-გორიდან (დუშეთის მაზრა) სასოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ იქ 20,000 ფუთზე მეტი მატყლი არის დამზადებული, რომლის ყიდვასაც ჩარჩები აპირებენ. საჭიროა ყურადღებას მიქცევა.

○ ქალაქის გამგეობამ იაფ-ფასიან სასადილოების და სარაიგს გამმართავ საზოგადოებას ღვინის გაყიდვის ნება დაართო მის ყავახანა „ინტერნაციონალში“, მხოლოდ საზოგადოებს შეაწერა ღვინის გადასახადი ბაკი 6,000 მანეთი.

○ ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის საბჭოს მდივანს ვ. ხახანაშვილს ორშაბათის საბჭოს კრებისთვის შეადგინოს მოხსენება ქალაქის ხმოსნების არჩევნების შესახებ. ეხლანდელ ხმოსნების ვადა იანვარში თავდება.

○ პირველ დივიზიის ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი მაყაშვილი დანიშნულია, სარდლად როგორც რეგულიარული ჯარისა აგრეთვე საერო რაზმის უფროსათ ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში გენერალ-ლუბარატორის უფლებით.

○ ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის მერაე და მესამე კურსის სტუდენტებმა 16 ოქტომბერს კრებაზე დაადგინეს გაფიცვა გამოაცხადონ, რადგანაც არ იქმნა შესრულებული მათი მოთხოვნილებანი.

○ გუშინ გერმანიიდან დაბრუნდა 70 ქართველი ოფიცრი და ჯარის კაცი, რომელნიც იქ ტყვეთ იყვნენ.

ხალვრა.

○ უკანასკნელ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 4 ხოლერიანი და 1 საეჭვო. მორჩა 2. გარდაიცვალა 1. ოქტომბრის 16 სულ იყო 38 ხოლერიანი და 13 საეჭვო.

ტფილ. საგუბერნიო კომისარიატი.

ამ უკანასკნელ ხანებში ტფილისის გუბერნიის კომისარიატსა და ქალაქის გამგეობის „დამოუკიდებლობის“ გამო, რომელსაც არ სურს აღიაროს საზოგადოებრივ სამართველოს მოქმედებათა კანონიერების ხელამხედველობის გუბერნიის კომისარის უფლება, რაც გუბერნიის კომისარს ენიჭება თანახმით საქალაქო დებულების მე-2 მუხლისა.

სხვათა შორის მაგალითად წარსული წლის 3 ოქტომბერს გუბერნიის კომისარმა დ. ბ. პოპოვმა მიაქცია ტფილისის ქალაქის გამგეობის საზოგადო სამართველოს ყურადღება კანონის

ასრულების საქიროებაზე, რომლის მიხედვითაც ქალაქის გამგეობა მოვალეა წარმოუდგინოს გუბერნიის კომისარს, ზემოაღნიშნული ზედამხედველობის ცხოვრებაში გასატარებლათ, სია ქალაქის საბჭოს სხდომაზე გასარჩევ საქმეებისა და ასევე ქალაქის საბჭოს ყველა დადგენილებებისა თვისი დამატებებით. ტფილისის ქალაქის გამგეობა ამ მასალას სრულებით არ ურდგენს გუბერნიის კომისარს. არ ურდგენს ქალაქს გამგეობა გუბერნიის კომისარს არც საბჭოს ცალკე დადგენილებებს, რომლებმაც სანქცია უნდა მიიღონ გუბერნიის კომისრისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსგან, რა გარემოებასაც გუბერნიის კომისარს ყურადღება მიაქცია თავის დროზე თვით შინაგან საქმეთა სამინისტრომაც, სახელდობრ, ქალაქის საბჭოს დადგენილებას გამო ქალაქის მცხოვრებ მოქალაქეებზე ხოლერის საწინააღმდეგოთ სავალდებულო გადასახადის დაწესების შესახებ, რაც, სხვათა შორის, კანონის მიერ არ იყო გათვალისწინებული.

ტფილისის გუბერნის კომისარმა შ. ნ. მაღლაკელიძემ სექტემბრის შუარიცხვებში სასწაფო წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, თანახმათ ქალაქების საზოგადო მართველობის კანონის მე-101 მუხლის შესახებ, კანონის აღნიშნული დარღვევა მოახსენებოდა ქალაქის საბჭოს თვის პირველ სხდომაზედვე, რათა მიღებულ ყოფილიყო შესაფერი ზომები დარღვეული კანონიერი წესის აღსადგენათ და ყოველივე ამის შესახებ ცნობა დაებარუნებინათ მისთვის.

ტფილისის გამგეობის მიერ ამ მიმართვის უპასუხოთ დატოვების გამო გუბერნის კომისარმა გ. ნ. მაღლაკელიძემ ყოველივე ამის გამო მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულების მოსახდენათ.

ბაზარი

სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

კავკასიის რკინის გზაზე:

№ 3—გადის თელავიდან დილის 8 ს. 28 წ.
გურჯაანში მიდის „ 10 „ 14 „
თბილისში „ საღამოს 5 „ —
№ 4—თბილისიდან გადის დილის 8 „ 58 „
გურჯაანში მიდის ნაშუადღ. 3 „ 24 „
თელავში „ საღამოს 5 „ —
№ 5—წნორის წყალიდან
გადის დილის 8 „ 42 „
გურჯაანში მიდის „ 10 „ — „
№ 6—გურჯაანიდან გადის ნაშუად. 4 „ 15 „
წნორის წყალში მიდის „ 6 „ 20 „

ბანცხადებები

წესდება

კავკასიის საიმპერატორო და საეკონომიკურ საზოგადოებისა.

IV თავი.

§ 35.

საზოგადოების გამგეობა შესდგება არა ნაკლებ 3 და არა უმეტეს 5 დირექტორისაგან, რომელნიც მოწვეულ იქნებიან აქციონერთაგან ან გარეშეთაგან. ერთ-ერთს დირექტორს საბჭო ნიშნავს გამგეობის თავმჯდომარედ. საზოგადოების საქმეთა უაღლეს განსაგებლად საბჭოს შეუძლიან ერთ-ერთი დირექტორი დანიშნოს გამგე დირექტორად. თუ არჩეულ იქმნა გამგე დირექტორი, იგივე ინიშნება გამგეობის თავმჯდომარედ. გამგე დირექტორმა და დირექტორებმა ისევე წესით უნდა წარმოადგინონ პე, რა, წესიც დანიშნულია საბჭოს წევრთა და კანდიდატებისათვის. თუ გამგე დირექტორი ან დირექტორები აქციონერები არ არიან, ბეს რაოდენობა უნდა განიმარტოს მათთან დადებულ ხელშეკულებით. გამგეობის არჩევის ვადა და წესი მათი გასვლისა განიმარტება საბჭოს მიერ. გამგეობის ბინა იმყოფება ქ. ტფილისში.

შენიშვნა: დირექტორთა რაცხეი უნდა განმარტოს აქციონერთა საზოგადო კრებამ.

§ 36.

თუ გამგეობის შეცვლა მოხდა, ეს გარემოება უნდა ეცნობოს ყველა დაწესებულებას, რომელთაც ურთიერთობა აქვთ საზოგადოებასთან. აღნიშნულ ცნობას ხელს აწერს საბჭო. ოგივე ცვლილება უნდა გამოცხადებულ იქმნეს საყოველთაო ცნობად.

§ 37.

გამგეობის დირექტორებს, საბჭოს მიერ დანიშნულ ჯამაგირის გარდა, შეიძლება მიეცეს წმინდა მოგების ერთი ნაწილი, რომლის რაოდენობას ნიშნავს საზოგადო კრება.

§ 38.

გამგეობა იკრიბება საჭიროების მიხედვით, მაგრამ კვირაში ერთხელ მაინც უნდა შეიკრიბოს. მისი გადაწყვეტილებანი კანონიერია თუ კრებას დაესწრო არა ნაკლებ 3 წევრისა, მათ შორის გამგე დირექტორისა. გამგეობის კრების შესახებ უნდა შესდგეს ხოლმე ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ყველა დასწრე წევრი გამგეობისა. საკითხები გამგეობაში სწყდება ხმის უმრავლესობით, ხოლო თუ ხმები თანასწორად გაიყო, გამგე დირექტორის აზრს ეძლევა გადაწყვეტი ძალა. თუ გამგეობის წევრი არ ეთანხმება ამა თუ იმ გადაწყვეტილებას და ეს გარემოება ოქმში შეიტანა, მას პასუხისმგებლობა აღარ დაეკისრება ამ გადაწყვეტილების გამო.

§ 39.

გამგეობას ევალება გამგებლობა და განკარგულება საზოგადოების საქმეთა იმ ფარგლებში, რომელნიც აღნიშნულ იქნებიან ამ წესდებით, საზოგადო კრებისა და საბჭოს მიერ. მის მოვალეობას შეადგენს:

1) მიღება საზოგადოების აქციებზე შემოსული ფულისა და ვალდებულებათა სახელდებულ მოწმობებისა, ხოლო თუ ფული სრულად შემოვიდა—თვით აქციებისა.

2) მოწყობა თანახმად კომერციულ წესებისა ბუღალტერიისა, კასისა და საქმის წარმოებისა, და აგრეთვე შედგენა თანახმად მე-43—47 §§-სა ანგარიშებისა, ბალანსისა და მოქმედების გეგმისა.

3) სყიდვა-გაყიდვა საქონლისა ნაღდზე და ნისიათ, და აგრეთვე საქონლის გაცემა საკომისიოდ.

4) საზოგადოებისთვის საჭირო მსახურთა ტ მოხელეთა სამსახურში მიღება, მათი მოვალეობის და სამსახური მიჩენა, ჯამაგირების დანიშნენა და მათი დათხოვნა.

5) დაქირავება საწყობებისა, ბინებისა და სხვა შენობებისა.

6) დაზღვევა საქონლისა ტ ყოველგვარ ქონებისა.

7) საზოგადოების სახელით დადება კანონიერ პირობებისა და ხელშეკრულებისა.

8) წარმოება კომერციულ საქმეებისა, რომელიც შეეხებიან საზოგადოებას.

9) მიწერ-მოწერა და ურთერთობის დაპერა საზოგადოების საქმეთა გამო თანამდებობის მოხელეთა და დაწესებულებებთან.

10) სადავო საქმეთა გამო დაცვა საზოგადოების ინტერესებისა, მოვალეთაგან ფულის მიღება და სადავო საქმეების მორიგებით გათავება.

11) გაცემა ტ მიღება თამასუქებისა ტ სხვა სავადო ვალდებულებათა,

12) საზოგადოების სახელზე შემოსული თამასუქების დისკონტი.

§ 40.

გამგეობა ხარჯავს ფულს თანახმად საზოგადო კრების მიერ დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვისა. საზოგადო კრებამ უნდა განმარტოს იმ თანხის რაოდენობა, რომელიც შეიძლება საბჭოს ნებართვით დახარჯოს გამგეობამ, აუცილებელ საჭიროების დროს, ხარჯთაღრიცხვის გარდა. ასეთი ხარჯის საჭიროებისა და აუცილებლობის გამო პასუხისმგებლობა წინაშე საზოგადო კრებისა ეკისრება საბჭოს, რომელმაც მახლოელ კრებას ამ ხარჯების შესახებ ანგარიში უნდა წარუდგინოს.

§ 41.

გამგეობაში შემოსული მიმდინარე ხარჯებისათვის თანხები უნდა შეტანილ იქნეს გამგეობის მიერ საზოგადოების სახელზე ერთ-ერთ ბანკში, ხოლო საამისო ბილეთები და საერთოდ ყველა დოკუმენტები უნდა შენახულ იქნეს გამგეობაში.

§ 42.

საზოგადოების ყოველნაირი მიწერ-მოწერა უნდა წარმოებულ იქნეს გამგეობის სახელით და ერთ-ერთი დირექტორის ხელმოწერით. თამასუქებს, რწმუნების ქაღალდებს, ხელშეკრულებას, პირობის ქაღალდებს, ნასყიდობას, ბანკებიდან საზოგადოების ფულის მოთხოვნის ქაღალდებს და ყოველ გვარ აქტებს ხელს აწერს არა ნაკლებ ორის დირექტორისა. მიმდინარე ანგარიშების ჩეკებს ხელს აწერს ორი დირექტორი. ფოსტიდან ფულისა, ამანათებისა და სხვა დოკუმენტების მისაღებად საქმარისია ხელი მოაწეროს ერთმა დირექტორმა და საბუთზე საზოგადოების ბეჭედი დაარტყას.

§ 43.

საზოგადოების საქმისათვის საჭირო შემთხვევის დროს გამგეობას უფლება ეძლევა იშუამდგომლოს წინაშე მოხელეთა და დაწესებულებათა, ხოლო საამისოდ საჭირო არ არის განსაკუთრებული რწმუნების ქაღალდის წარდგენა. ასეთი საქმეების წარმოება გამგეობას შეუძლიან მიანდოს ერთ-ერთ დირექტორს ან გარეშე პიროვნებას, ხოლო სამართალში საქმეების საწარმოებლად უნდა დაცულ იქნეს სამ. სამარ. წესდების მე-27 მუხლი.

§ 44.

გამგეობის დირექტორები ასრულებენ თავიანთ მოვალეობას თანახმად საზოგადო კანონებისა და ამ წესდებაში აღნიშნულ წესებისა. თუ მათ ეს კანონები ან საზოგადო კრების დადგენილებანი დაარღვიეს, თავიანთ უფლებას გადაკარბეს, ისინი პასუხს აგებენ თანახმად საზოგადო კანონებისა. გამგეობის წევრნი აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით შეიძლება მათი სამსახურის ვადის გასვლამდე გადაყენებულ იქნენ.

V. ანგარიში, განსაზღვება მოგებისა და დაყოფდენის დარიგება.

§ 45.

საზოგადოების საოპერაციო წელიწადი ითვლება 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. პირველი საანგარიშო წელიწადი ითვლება დღიდან საზოგადოების დაარსებისა იმავე წლის 31 დეკემბრამდე თუ ეს ხანა შეიცავს ექვს თვეს მაინც, ხოლო თუ ექვს თვეზე ნაკლები გამოდგა, მაშინ საოპერაციო წელიწადი თავდება მომავალი წლის 31 დეკემბერს. ყოველ გასული საოპერაციო წლის დამლეგს გამგეობა თავის და საბჭოს წევრთა ხელმოწერით აღგენს დაწერილებით ანგარიშს შესახებ საზოგადოების ოპერაციებისა და ბალანსს, რომელნიც განსახილველად და დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საზოგადოების ჩვეულებრივს წლიურს კრებას (§ 54). დამეშვილი ანგარიშები და ბალანსი უნდა მოსურნე აქციონერებს დაურიგდეს გამგეობაში ორის კვირით ადრე ჩვეულებრივ საზოგადო კრების დაწყებამდის. ამავე დღიდან აქციონერებს შეუძლიანთ განიხილონ გამგეობის წიგნები, ანგარიშები და დამატებანი, რომელნიც შეეხებიან წლიურ ანგარიშსა და ბალანსს.

დაკარგე უბის წიგნაკი, პირადობის მოწმობა, თოფის და რევოლვერის ტარების ნებართვა, მოცემული სახალხო გვარდიის მთავარ შტაბისაგან და ჩემი სიმამრის, იენე მონსაყლიძის სახელზე საკრედიტო მოწმობა № 2565. 1637 მ.-ს 50 კ.-ს. მნახველს ესთხოვ გამომგზავნოს შემდეგი მისამართით: ვლადიმირის ქ. № 5. (ბე 11 სამილიცო უბანი) ალექსანდრე ბაპანაშვილს. მომტანი მიიღებს სარჯებს.
892 3—2

ფურცელაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 75,662 150 მან.
884 4—2

დიდებულიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთი № 78,621. 50 მან.
887 3—2

ქართული შრიფტი

რუსულ ასოებიან სამეკვდავ მანქანებს ვიბალიდებ ქართული შრიფტით. მაგალითისთვის ყოველ დროს შეიძლება გადაკეთებული მანქანის გასინჯვა. ს. გ ერმანი, სასლების ქუჩა, № 2.
691 10—3

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. ბ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ელექტრა და გულისა. ლეგის ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსებულის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუოთვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.
624. 30—9.

ანნა ალექსანდრეს ასული გიგაცეროვი აცხადებს, რომ მან დაკარგა პასპორტი № 11558, მიცემული ტფილისის პოლიციმეისტერის სამმართველოს მიერ. პასპორტი გაუქმებულად უნდა ჩითვალოს.
902 3—1

მომმხარებელ საზოგადოების

„დახმარების“

გამგეობა აფუძებს საზოგადოების წევრთ, რომ 13 ოქტომბერს დაწყებულ

საზოგადო კრების

გაგრძელება დანიშნულია შაბათს, ოქტომბრის 19-ს, საღამოს სწორედ 5 საათზედ, სამეურნეო ბანკის დარბაზში.
900 1-1 გამგეობა.

დაკარგე პასპორტი და სხვა საბუთის ქაღალდები. პასპორტი მოცემულია ქუთაისის სახალხო მილიციის სამმართველოს მიერ დავით ლუარსაბის ძე მგალობლიშვილის სახელზე. მპოვნელს ვსთხოვ, კეთილ ინებოს და დამიბრუნოს „ალინშული ქაღალდები—„სახალხო საქმის“ რედაქციაში. დავით მგალობლიშვილი.
809 3—1

დავით იოსების ძე ვაჩნაძე ამით აცხადებს, რომ 14 ივნონისთვიდან აუქმებს რწმუნებულობის ქაღალდს (доверенность), მიცემულს ნაფიც ვექილის ივანე რევაზის ძე ვაჩნაძეზედ, რომლითაც უკანასკნელს ენდობოდა სასამართლოში საქმის წარმოება 848 № ენანახის დავის შესახებ.
901 1—1

დაიკარგა ორი საკრედიტო წიგნები, მიღებული ბაქოს საფოსტო შემნახველი კასიდან ა. ოქოვეის და ფ. ლიაპორტის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: გორი, ოკოეეს. მპოვნელი შესაფერ ჯილდოს მიიღებს.
870 3-1

ქალაქ ოზურგეთის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს სარქის ბახტის ძე ულაჯოვის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ულაჯოვის ქონებაზედ სამ. კან. წესდ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში. 1-1

ქალაქ ოზურგეთის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გიგო ალექსანდრეს ძე ფასიეშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ფასიეშვილის ქონებაზედ. სამ. კან. წესდ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადაში.
725 1-1

დეკანოზაშვილი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბილეთები №№ 74,557 და 72,953 8000 და 1,200 მანეთისა. 4—2

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი გაიყიდება ტფილისი-ცენტრალ სადგურში 28 ოქტომბერს 1918 წ. თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა მეორეს დაინიშნება გასასყიდად 29 ოქტომბერს 1918 წ. მიღებული ტფილისში—ტყვიბულიდან № 30505 ქვის ნახშირი 1.000 ფ., ტყვიბულიდან № 30506 ქვის ნახშირი 920 ფ., ტყვიბულიდან № 30611 ქვის ნახშირი. ტყვიბულიდან № 30612 ქვის ნახშირი.
723 1—1

საკარო ვაღლოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი გაუტანელი რკინის გზათა წესებიან 84 მუხლში აღნიშნული ვადის განმავლობაში, გაიყიდება ტფილისის ცენტრალ სადგურში 20 თებერვალს იმ წლისა დილის ათ საათზე. გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდად 21 თებერვალს 1919 წ. ბაგაჟი: მიღებული ყარაიაზში—ნავთლუხიდან № 23029 ქვაბები 2 ფ., მიღებული ახალ-სენაკში—ტფილისიდან № 35970 ტომრები ცარიელი 12 ფ. 10 გ., ტფილისიდან № 36727 საჯარო ნივთები 5 ფ. 20 გ., ტფილისიდან № 39024 1 ფ. 30 გ. ნაპოვნი საქონელი 31 გ.
978 3-3

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

(25 წლის ნაშრომი)

უცხო სიტყვათ ლექსიკონი

მეორე შეესებულ-შესწორებული გამოცემა, აწყობილია უმპონოდ (მეიდოოდ), კორპუსით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1,100 გვ., განმარტავს ყოველგვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. ფასი: ხელის მომწერთათვის მეშვენერი კალენკორის ოქროს ვარაყიან ასოან ყდით 20 მან., უყდო—15 მან, (წინად შემოტანილის გამორიცხვით), არა ხელის მომწერთათვის—ყდით 30 მან., უყდოთ—25 მან. ფოსტის ხარჯი—2 მან. (ვინც პირდაპირ „თეატრი და ცხოვრ.“ რედაქციაში შეიძენს—ეს ხარჯი აღარ გადახდება. წიგნის გაგზავნა შეიძლება: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის გვერდით, რედაქცია „თეატრი და ცხოვრებისა“-ს რედ. იოსებ იმედაშვილს.
5-5

მთავარობის სტამბა.

რედაქტორი კ. დ. საყვარელიძე.